

შარდის სინჯის ჩაბარება

დოპინგ-კონტროლი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დოპინგისგან თავისუფალი რაგბის პროპაგანდისა და დაცვის საკითხში. ტესტირება ტარდება მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო ანტიდოპინგური კოდექსისა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ტესტირება შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ დროსა და ადგილას. ქვემოთ წარმოდგენილია შარდის სინჯის ჩაბარების პროცედურა. შესაძლოა არსებობდეს მცირედი განსხვავებები, რაც დამოკიდებულია ანტიდოპინგურ ორგანიზაციაზე, თუმცა ძირითადი პრინციპები არ განსხვავდება და არანაირ გავლენას არ მოახდენს პროცესის ერთიანობაზე.



1. შეტყობინება

თქვენ შესაძლოა შეგარჩიონ სინჯის ჩასაბარებლად შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ან გამიზნულად. დოპინგ-კონტროლის ოფიცერი წარმოგიდგენთ რა თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთს, შეგატყობინებთ დოპინგ-კონტროლის პროცესის გავლის აუცილებლობის შესახებ. ის მოგაწვდით ინფორმაციას თქვენი უფლება-მოვალეობების შესახებ და ასევე გთხოვთ ხელი მოაწეროთ დოპინგ-კონტროლის სპეციალურ ფორმას, რითაც ადასტურებთ თანხმობას სინჯის ჩაბარებაზე. შემდეგ ოფიცერი მიგიყვანთ დოპინგ-კონტროლის პუნქტში.

უარი სინჯის ჩაბარებაზე შესაძლოა ჩაითვალოს

ანტიდოპინგური წესის დარღვევად და დაგკისროთ 4 წლიანი სანქცია.

უფლებამოსილი ხართ გყავდეთ წარმომადგენელი და/ან თარჯიმანი, რომელიც გეხმობათ დოპინგ-კონტროლის პუნქტში. თუ არასრულწლოვანი ხართ, აუცილებლად იყოლიეთ წარმომადგენელი.

შეტყობინებიდან რაც შეიძლება მალე, ერთი საათის განმავლობაში, უნდა მოახსენოთ დოპინგ კონტროლის ოფიცერს თუ გსურთ პროცედურის დაყოვნება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, თუმცა ამავდროულად დარჩებით დოპინგ-კონტროლის ოფიცერის ზედამხედველობის ქვეშ:

- i. დაჯილდოვების ცერემონიაზე დასწრება;
- ii. პრესკონფერენციაზე დასწრება;
- iii. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მოდუნება ან ცივი აბაზანის მიღება;
- iv. სამედიცინო შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღება;

- v. მატჩის შემდეგ გუნდის შეკრებაზე დასწრება გასახდელ ოთახში;
- vi. სპორტული ფორმის გამოცვლა;
- vii. წარმომადგენლის და/ან თარჯიმნის ყოლა;
- viii. საიდენტიფიკაციო საბუთების აღება;
- ix. ვარჯიშის დასრულება, თუ შეეჯიბრებაში არ მონაწილეობთ;
- x. სხვა გამონაკლისი მდგომარეობა, რომლის გამართლება შეიძლება და რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს.




2. სინჯის მისაღები ჭურჭლის შერჩევა

აირჩიეთ სინჯის მისაღები დალუქული ჭურჭელი სინჯის ჩასაბარებლად. დარწმუნდით იმაში, რომ ჭურჭელი არის ხელშეუხებელი და სუფთა.



3. სინჯის ჩაბარება

თქვენ უნდა ჩააბაროთ სინჯი დოპინგ-კონტროლის ოფიცრის თანდასწრებით, რომელიც უნდა იყოს თქვენივე სქესის. იმისათვის, რომ წარმომადგენელმა შეძლოს სინჯის ჩაბარების პროცესის დაკვირვება, უნდა გაიშიშვლოთ სხეული მუხლებიდან დიაფრაგამამდე და ხელის მტევნებიდან მკლავებამდე. აგრეთვე უნდა დაიბანოთ ხელები სინჯის ჩაბარებამდე და ჩაბარების შემდეგ.



4. შარდის მოცულობა

უნდა ჩააბაროთ მინიმუმ 90 მლ შარდი და უფრო მეტი, თუ შესაძლებელია. თუ 90 მლ-ზე ნაკლებ შარდს ჩააბარებთ, ეს ჩაითვლება ნაწილობრივ სინჯად, დროებით დაილუქება, აღირიცხება და შეინახება დოპინგ-კონტროლის ოფიცრის მიერ მანამ, სანამ არ ჩააბარებთ მეორე სინჯს, რომელიც დაემატება მას, რათა შეივსოს მინიმალური საჭირო რაოდენობა.



5. სინჯის შემნახველი კომპლექტი

როდესაც ჩააბარებთ 90 მლ შარდს, თქვენ მოგეცემთ საშუალება შეარჩიოთ სინჯის შემნახველი გამძლე კომპლექტი, რომელშიც შეინახება თქვენი სინჯი. შეამოწმეთ, ხელშეუხებელია თუ არა კომპლექტი, გახსენით ის, ამოიღეთ A და B ჭურჭელი და დარწმუნდით, რომ მათზე გამოსახული ნომრები იდენტურია.



6. სინჯის დაყოფა

დოპინგ-კონტროლის ოფიცერი აგისხნით, თუ რა რაოდენობით უნდა ჩაასხათ შარდი B და A ჭურჭელში. შარდის მცირე რაოდენობა უნდა დატოვოთ სინჯის მისაღებ ჭურჭელში.



7. სინჯების დალუქვა

ახლა შესაძლებელია ჭურჭლების დალუქვა. დოპინგ-კონტროლის ოფიცერმა უნდა დაადასტუროს, რომ ჭურჭლები სწორად დაილუქა.



8. შარდის კუთრი წონის შემოწმება

შემოწმდება სინჯის მისაღებ ჭურჭელში დატოვებული შარდის კუთრი წონის დონე იმის დასადგენად, გამოდგება თუ არა ის ანალიზისთვის. თუ ის ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს ანუ ძალიან დაბალი კონცენტრაციისაა, შესაძლოა დამატებითი სინჯის ჩაბარება მოგიხდეთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეტიმეტად ბევრი სითხე არ მიიღოთ სინჯის ჩაბარებამდე.



9. დოპინგ-კონტროლის ფორმა

დოპინგ-კონტროლის ფორმა უნდა შეავსოთ, შეამოწმოთ და ხელი მოაწეროთ თქვენ, დოპინგ-კონტროლის ოფიცერმა და თქვენმა წარმომადგენელმა. მიუთითეთ ყველა იმ პრეპარატის ჩამონათვალი, რომლებიც მიიღეთ ბოლო 7 დღის განმავლობაში. შეგიძლიათ გააკეთოთ კომენტარი დოპინგ-კონტროლის პროცესთან დაკავშირებით. თქვენ მიიღებთ დოპინგ-კონტროლის ფორმის ასლს, რაც ამ პროცესის დასრულების ბოლო საფეხურია.

10. ლაბორატორიული ანალიზი

თქვენი სინჯი გაეგზავნება საერთაშორისო ანტიდოპინგურ სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიას ანალიზისთვის. ამ სინჯთან ერთად გაიგზავნება დოპინგ-კონტროლის ფორმის ის ნაწილი, სადაც აღწერილია მხოლოდ თქვენი სინჯის დეტალები. ლაბორატორია ანალიზის შედეგებს მიაწვდის შესაბამის ორგანოებს.

11. სანქციები

თუ ანალიზის დადებითი პასუხის შემთხვევაში დაგეგმვით სანქცია, თქვენ აგეგმვით რაგბის გუნდთან ერთად ვარჯიში, თამაში, მოხდება თქვენი, როგორც მწვრთნელის დისკვალიფიკაცია სანქციის მოქმედების პერიოდში. ანალიზის დადებითი შედეგი შესაძლოა გამოქვეყნდეს და საჯაროდ ცნობილი გახდეს.



სისხლის სინჯის ჩაბარება

სისხლის სინჯის ჩაბარების პროცესი თითქმის იმავე პრინციპებს ეფუძნება, რასაც შარდის სინჯის ჩაბარების პროცესი, თუმცა მას ახორციელებს გადამზადებული ფლუბოტომისტი ან სისხლის აღების სპეციალისტი.

დოპინგ-კონტროლი შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ სისხლის სინჯის აღებას, მხოლოდ შარდის სინჯის აღებას ან ორივეს ერთად.

სისხლის სინჯის ჩასაბარებლად იგივენაირად ხდება თქვენი შეყოვნება, როგორც შარდის სინჯის ჩაბარების შემთხვევაში. გეჭნებათ მსგავსი უფლება-მოვალეობები დოპინგ-კონტროლის პროცედურის ჩატარების დროს და ისევე შეეგებებით მათით სარგებლობა.

ზოგადად სისხლის სინჯის ჩაბარების პროცედურა ასეთია:

1. სინჯის აღებამდე უნდა დაისვენოთ გარკვეული პერიოდი, ჩვეულებისამებრ 10 წუთი.
2. უნდა შეარჩიოთ სინჯის შემნახველი კომპლექტი, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო აჭურვილობას სინჯის ჩასაბარებლად, როგორცაა სტერილური ნემსი, შპრიცი და ლაბორატორიული სინჯარები.
3. უნდა შეარჩიოთ სინჯის შემნახველი კომპლექტი, რომელშიც შეინახება თქვენი სინჯი და რომლითაც მოხდება მისი ლაბორატორიაში წადება. კარგად შეამოწმეთ კომპლექტი, რომ დარწმუნდეთ მის ხელშეუხებლობასა და სისუფთავეში.
4. სისხლის აღების სპეციალისტი შეარჩევს ადგილს, საიდანაც ყველაზე უფრო მოსახერხებელია სისხლის აღება (ჩვეულებისამებრ არადომინანტურ მკლავზე), გაგიკეთებთ მომჭერს და გაწმენდს კანს იმ ადგილზე, სადაც ნემსით უნდა აგიღოთ სისხლი.
5. შემდეგ სპეციალისტი აიღებს სისხლის იმ რაოდენობას, რომ სულ მცირე ორი სინჯარა გაავსოს.
6. თითოეულ სინჯარაში მოთავსებული სისხლი მაქსიმუმ 5 მლ-ია, რაც დაახლოებით ერთი ჩაის კოვზს უდრის.
7. თუ სისხლის სინჯის აღების სპეციალისტი ვერ მოახერხებს ვენის პოვნას ნემსის შერჭობის სამი ცდის შედეგ, შეწყდება სისხლის აღების პროცესი.
8. სინჯარები, რომლებშიც მოთავსებულია აღებული სისხლი, იდება გამძლე ჭურჭელში და მზადაა ტრანსპორტირებისთვის.

9. სისხლის სინჯის აღების სპეციალისტი დააფიქსირებს სინჯის კოდს დოპინგ-კონტროლის ფორმაში და პროცესს დაასრულებს თქვენთან ერთად.
10. თუ უნდა ჩააბაროთ შარდის სინჯიც, ეს შეიძლება გააკეთოთ სისხლის სინჯის აღებამდე ან მას შემდეგ, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის იქნებით მზად ამისთვის. თქვენი სინჯი ანალიზისთვის გაიგზავნება საერთაშორისო ანტიდოპინგურ სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში.
11. შემდეგ თქვენს სინჯს ანალიზისთვის წაიღებენ საერთაშორისო ანტიდოპინგურ სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში.

ხშირად დასმული კითხვები

რატომ უნდა ამიღონ სისხლი?

სისხლის ანალიზში შესაძლოა გამოჩნდეს ის აკრძალული ნივთიერებები, რასაც შარდის ანალიზი ვერ უჩვენებს.

რა მოხდება თუკი ნემსის გეშინია?

ის ვინც სისხლს აგიღებთ, გამოცდილი და გადამზადებული სპეციალისტია, რომ პროცესი რაც შეიძლება მარტივი და უმტკივნეულო გახადოს. თუ თქვენ შესაძლოა დაკარგოთ გონება ან ნემსის გეშინიათ, გირჩევთ წამოიყვანოთ თანხმლები პირი.



როდის შევძლებ ფიზიკურ აქტივობას დავუბრუნდე?

ასაღები სისხლის რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ეს ხელს არ შეგიშლით ვარჯიშში, თუმცა რეკომენდირებულია, რომ სისხლის აღებიდან სულ მცირე 30 წუთის განმავლობაში არ დატვირთოთ ის ხელი, სადანაც სისხლს აგიღებენ, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ სისხლჩაქცევის შესაძლებლობა.

რა მოხდება თუ უარს ვიტყვი სისხლის ჩაბარებაზე?

არ მიიღება უარი სისხლის სინჯის ჩაბარებაზე ან პროცესის დასრულებაზე, როდესაც თქვენ შეგატყობინებენ ამის საჭიროების შესახებ. World Rugby-ს რეგულაციებით ნათლად არის განსაზღვრული, რომ შესაძლოა სისხლის სინჯის აღება მოთამაშეებისგან. ამ მოთხოვნაზე უარი ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესის დარღვევად და შესაძლოა დაგეისროთ 4 წლიანი სანქცია.

სად შემიძლია დამატებითი ინფორმაციის მიღება სისხლის სინჯის ჩაბარების პროცედურასთან დაკავშირებით?

იხ. გაიდლაინები სისხლის ჩაბარებასთან დაკავშირებით World Rugby-ს რეგულაციებში, ცხრილი1, ნაწილი, 25: worldrugby.org/keeprugbyclean